ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

25 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ ᲙᲕᲘᲠᲐ 1968

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 49-Ე ᲬᲚᲘ ● № 199 (14195) ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

25 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ ᲛᲔᲨᲐᲮᲢᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲠᲔᲜᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ, ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲝ!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ტყიბულის ქვანახშირის, ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტების, ახალციხის ქვანახშირის მაღაროთსამმართველოს და სხვა სახელოვანი კოლექტივების ყველა მეშახტეს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკსა და მოსამსახურეს ულოცავენ დღესასწაულს — მეშახტის დღეს.

საქართველოს მეშახტეებს — თავანსხმელ ტვირთულ შრომით ღირსეული წვლილი შეაქვთ რესპუბლიკაში ქვანახშირის მოპოვების გადიდების საქმეში, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა საერთო-სახალხო ბრძოლაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ მიღწევებს თქვენს საპატიო შრომაში, წარმატებებს, კეთილდღეობას, ბედნიერებას პირად ცხოვრებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

მასწავლებელთა აგვისტოს თათბირები

ᲙᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲛᲐ თავის ცნობილ დადგენილებაში „ᲣᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲘᲚᲘᲩᲘᲡ-ᲫᲔ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების შესახებ“ ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კომკავშირელთა, საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდას ლენინისმსაზომი ერთგულების სულისკვეთებით, კომუნისტური პარტიის დიადი იდეალებისათვის თავდადებული ბრძოლის სულისკვეთებით; რომ საჭიროა ახალგაზრდებს ჩავუნერგოთ ნებისყოფა, მზადყოფნა, უნარი იცხოვრონ და იბრძოლონ ისე, როგორც ლენინი ცხოვრობდა და იბრძოდა; რომ საჭიროა ახალგაზრდები, კომკავშირელები კვლავაც ასრულებდნენ ილიჩის ანდერძს — ისწავლონ, ისწავლონ და ისწავლონ, საფუძვლიანად და შემოქმედებითად დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის უახლოეს მიღწევებს, გამოაწრთონ თავანთი ნებისყოფა და ხასიათი შეგნებულ, დისციპლინირებულ შრომაში.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ მთელი ეს და სხვა შთაგონებული შრომის უდიდესი ნაწილი საბჭოთა სკოლის წილად მოდის, რადგან დიდი მოზარდობის აღზრდისათვის ისეთი კოლექტივის მნიშვნელობა, როგორიც არის სკოლა, სწორედ სკოლაა ის კოლექტივი, რომელიც პარტიის ხელმძღვანელობით, მთელი ხალხის დახმარებითა და მხარდაჭერით ზრდის და უნდა აღზარდოს კიდეც ჩვენი დიადი იდეალების ღირსი თაობა — პოლიტიკურად მომწიფებული, ღრმად იდეური და სულით ძლიერი, მეცნიერების საფუძვლების მტკიცე ცოდნით შეიარაღებული, კომუნისტმისაზომის თავდადებული და მტკიცე მებრძოლები, პატრიოტები და ინტერნაციონალისტები.

მაშასადამე, აღზრდა — უპირველეს ყოვლისა! — ასეთია საბრძოლო ამოცანა ამ ფრონტისა, რომელსაც სკოლა, სახალხო განათლება ჰქვია.

როცა არის ფრონტი და არის მისი საბრძოლო ამოცანა, შტაბი ბეჭრს და ეძიებს უმოკლესსა და უკეთეს გზებს მის გადასაჭრელად ბრძოლის გარკვეულ უბანზე. დიდი შეუსაბამობა არ იქნება, თუ ასეთ შტაბად წარმოვიდგენთ მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებს. ისინი ტარდება მთელ საბჭოთა კავშირში, ტარდება საქართველოშიც.

ᲐᲛᲐᲓ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ თათბირებს, როგორც ცნობილია, წინ უძღოდა ისეთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენები, როგორიც იყო მასწავლებელთა რესპუბლიკური და საკავშირო ყრილობები. აგვისტოს თათბირები ძირითადად, ცხადია, მასწავლებელთა საკავშირო და საქართველოს ყრილობების მასალებზე იმსჯელებენ, მათ გადაწყვეტილებათა განხორციელების გზებსა და მეთოდებზე ილაპარაკებენ. თათბირები გულდასმით მოისმენენ აღზრდის უმთავრესი ფიგურის — მასწავლებლის გამოსვლას, შეისწავლიან მათს მოწინავე გამოცდილებას, უკეთესს მათ შორის გახდიან საერთო კუთვნილებად რესპუბლიკის მასწავლებელთა დიდი ოჯახისათვის.

მასწავლებელთა თათბირების მთელი საოფიციო მუშაობა გაეცნობილი იქნება დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესათვის სკოლების მზადების სულისკვეთებით. ისე როგორც მთელი შრომელი ხალხი ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოსი, — თავისებურ შრომითს ვახტზე დგებიან რესპუბლიკის სკოლებიც, მთელი განათლების ფრონტიც — დიდი სამეკლესო ახალგაზრდობის აღზრდისა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘ, რომელიც ხდება ჯარს მოგვადგება, თავისებური იქნება, თავისებური, რა თქმა უნდა, უკეთესობით. სკოლას ახალი ბასრი იარაღი, ახალი უტყუარი კომპასი გაეჩინა ამ ამოცანების განხორციელებლად, რაც პარტიის XXIII ყრილობამ დაგვიხატა. ეს იარაღი, ეს კომპასი მასწავლებელთა III საკავშირო ყრილობის გადაწყვეტილებებია, მისი მასალებია, რომლებიც საპროგრამოა სახალხო განათლების ყველა მუშაკისათვის.

1968-1969 სასწავლო წელს ახალი ნაბიჯი გადაიდგმება საყოველთაო სავალდებულო განათლების განხორციელების გზაზე. კიდევ უფრო გაიზრდება საშუალო სკოლების ქსელი. რედაქციაში მოდის სახიხარულო ცნობები სასკოლო მშენებლობათა ფრონტიდან. სკოლების მშენებლობის წლიური გეგმიდან ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის უნდა დამთავრდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს 59 ახალი სასკოლო შენობა 16.927 მოსწავლის ადგილით, მაგრამ სექტემბრის პირველი ზარის დარეკვით როდი შეწყდება მშენებლობა. საშუალო სკოლების ქსელის გაზრდა, სასკოლო მატერიალური ბაზის გაუმჯობესება საშუალებას მოგვცემს მტკიცედ განვახორციელოთ საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა. წელს რვაწლიანი სკოლის კურსდამთავრებული ყოველი 100 მოწვალედან მომდევნო საფეხურზე სწავლას განაგრძობს თითქმის 97 მოზარდი. მაგრამ ეს სასიხარულო ციფრი მაინც არ გვაძლევს თვითდამშვიდების უფლებას. მასწავლებელთა მესამე რესპუბლიკურ ყრილობაზე აღინიშნა, რომ საყოველთაო საშუალო განათლების სრულად განხორციელებას მნიშვნელოვანი სიძნელენი ეღობება წინ. ამ სიძნელედ უმთავრესად მიჩნეულია ის, რომ ყველა პირველკლასელი ვერ ამთავრებს რვაწლიან სკოლას. ამის გამოსწორების მთავარი საშუალება კვლავ სასკოლო მშენებლობათა მთელი ძალით გაწევა და გაფართოება იქნება.

სახალხო განათლების ფრონტზე ერთ-ერთი უპირველესია სახელმძღვანელოების პრობლემის გადაწყვეტა. კარგად აღწყო მუშაობა სახელმძღვანელოების ძირითადმა გამომცემლობამ — „განათლებამ“. ახლა მთავარია დროზე იქნას მიწოდებული მისი პროდუქცია მომხმარებლებისათვის. მასწავლებელთა თათბირები იმსჯელებენ, ცხადია, სახელმძღვანელოების, პროგრამებს არა მარტო დროულად გამოცემა-მიწოდების, არამედ აგრეთვე მათი ხარისხის საკითხებზე. მასწავლებელთა თათბირების მეორე დღე ხომ ეთმობა სექციების მუშაობას ყველა სასწავლო საგანში, სადაც სასწავლო პროგრამებში შეტანილ სიახლეს და საგნების სწავლების შემდგომ გაუმჯობესებაზე იმსჯელებენ. აგვისტოს თათბირებში როგორც სარკეში, ასახვა უნდა ჰპოვოს მასწავლებელთა თავდადებულმა მუშაობამ ახალგაზრდობის სწავლებისა და კომუნისტური აღზრდისათვის. მანვე სახელოვანი სავალი გზა უნდა გაუადვილოს ჩვენს მასწავლებლობას მომავალი სასწავლო წლისათვის.

მასწავლებლის პასუხისმგებლობა! — ეს ხომ დიდია, და რაც უფრო დიდი და მნიშვნელოვანია იგი აღზრდის სახელმწიფოებრივი საქმისათვის, მით უფრო დიდი უნდა იყოს სახალხო განათლების ორგანოების, პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების ზრუნვა მასწავლებლისათვის. ამიტომაც ინტერესსა და საჭიროებას როდი იქნება მოკლებული, რომ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა უური დაუგდონ პედაგოგთა დიდ მსჯელობას, გაითვალისწინონ მათი მოთხოვნილებანი, წინადადებანი თუ მოსაზრებანი და ყოველნაირად დაეხმარონ პედაგოგთა კოლექტივებს თავიანთი კეთილშობილური მუშაობის უკეთ წარმართვაში.

სექტემბრის ზარი ბალე დარეკავს. სიხარულით და მღელვარებით ელის ამ დღეს არა მარტო მოსწავლეთა არმია, არამედ რესპუბლიკის პედაგოგთა დიდი ოჯახიც. ამ დღისათვის ერთგვარი ხამზადხაა მასწავლებელთა აგვისტოს ეს თათბირებიც.

ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲘᲡ 50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲡᲐᲛᲐᲠᲐᲓᲘᲡᲝ ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲡ!

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ოქტომბრის რევოლუციის დიადმა მაგალითმა შეძრა ქართველი გლეხების მასა. მიწის ნაკლებობით, შიმშილით, სიღატაკით სასოწარკვეთილი გლეხობა აღდგა საბრძოლველად, დაიწყო შეიარაღებული ბრძოლა შენშევიკების რაზმების წინააღმდეგ.

მენშევიკმა ხელისუფლებმა, რომლებსაც სურდათ თავიდან აეცილებინათ გლეხთა აჯანყება დუშეთის მაზრაში, რომელსაც ამზადებდნენ ბოლშევიკური პარტიის კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტები, 1918 წლის ზაფხულში დაიწყეს გლეხთა განიარაღება. მაგრამ ეს ოპერაცია ჩაშალა.

აჯანყებულმა გლეხებმა წინააღმდეგობა გაუწიეს ჯარებს. 1918 წლის 25 ივნისს გლეხთა ყრილობამ, რომელიც დუშეთში გაიმართა, მაზრაში გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლება და აირჩია გლეხთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ბოლშევიკი თედო შუშიაშვილი.

მთელ დუშეთის მაზრას მოედო აჯანყება. მის ჩასახშობად მენშევიკებმა გაგზავნეს დიდი ძალები, საქართველოში მყოფი გერმანელთა ჯარებიც კი.

დუშელებს კარგად ახსოვთ იმ დღეების ამბები. ჯერ კიდევ ცოცხალია აჯანყების ზოგიერთი მონაწილე. ახალგაზრდებთან ერთად ისინი ხშირად მოდიან ობელისკთან, რომელიც დგას დუშეთის გარეუბანში, იმ ადგილას, სადაც დახვრიტეს აჯანყების ყველაზე აქტიური მონაწილეები.

გუშინ, 24 აგვისტოს, დუშეთში საზეიმო ვითარებაში აღინიშნა დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყების 50 წლისთავი. სადღესასწაულოდ მორთულ რაიონულ ცენტრში ჩამოვიდნენ ამხანაგები ვ. პ. მეკავანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. ხტურა, გ. ს. ძოწენიძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. ი. კუპაკა, ა. ნ. ინაური, დელეგაციები დაღესტნის ასს რესპუბლიკისა სკკპ გუნიბის რაიკომის პირველი მდივნის მ. იბრაგიმოვის მეთაურობით, ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკის ბარტიის ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგის ნ. დიგურეოვის მეთაურობით, პარტიის თბილისის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ხელმძღვანელი მუშაკები, ჩვენი რესპუბლიკის ბევრი რაიონისა და ქალაქის წარმომადგენლები.

ობელისკთან, რომელზეც წარწერილია „სამარადისო დიდება დუშეთის მაზრის 1918 წლის გლეხთა აჯანყების მონაწილეებს“, გაიმართა მარადიული ცეცხლის ანთების ცერემონია. დამსწრეებმა წუთიერი დუმილით სცეს პატივი გმირთა ხსოვნას, რომლებმაც თავი გასწირეს ნათელი ცხოვრებისათვის ბრძოლაში.

მთის ფერდობზე, საიდანაც მოჩანს ბაღებში ჩაფლული დუშეთი, განისვენებენ მენშევიკური რეაქციის მსხვერპლნი. მებრძოლთა ძეგლთან საპატიო ყარაულში გარიდგულან საბჭოთა არმიის მეომრები. წითელ შემოსილ ტრიბუნაზე რესპუბლიკის პარტიისა და თავრობის ხელმძღვანელებთან, სტუმრებთან ერთად დგანან აჯანყების მონაწილენი — ი. ბექაური, ნ. კარიაული, ი. არუთიუნოვი, ი. ლალიაშვილი, ვ. კაზუმაშვილი, ა. კაზუმაშვილი და სხვები.

ძმათა საფლავზე მიტინგი გახსნა პარტიის დუშეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. შადურმა.

დუშეთის რაიალმასკომის თავმჯდომარემ შ. მწითურმა დაასახელა სამართლიანი საქმისათვის მებრძოლნი, რომლებიც აქ განისვენებენ — გ. ანდრიაშვილი, გ. რუბაშვილი, მ. მელია, გ. არაქელოვი და ბევრი სხვა. მათს წმიდა საქმეს ამაოდ არ ჩაუვლია. ამას მოწმობს აყვავებული დუშეთის რაიონი. სოფელ ბაზალეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ფ. ლალიაშვილმა დამსწრეთ უამბო, თუ როგორ ასრულებენ პირველ დუშელ ბოლშევიკთა ანდერძს მათი შთამომავლები. საინტერესო მოგონებები გაუზიარა მიტინგის მონაწილეებს აჯანყების მონაწილემ გ. ილურიძემ. დუშეთის პიონერთა სახლის დირექტორმა ხ. ზარიძემ თქვა, რომ რაიონის პიონერები და კომკავშირელები ერთგულად იცავენ მამა-პაპათა ტრადიციებს. სახელოვან ტრადიციაზე — ღრმა პატივისცემით მოიგონონ ისინი, ვინც იარაღით ხელში იცავდა საბჭოთა ხელისუფლებას, ილაპარაკა მაიორმა ვ. ერემჩიკმა. დიდი გრძნობით წაიკითხა დუშეთის აჯანყების მონაწილეებისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი ადგილობრივი სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილემ ი. ტუნტურიშვილმა.

მიტინგი დამთავრდა, სამკერდ გიბიმის სალუტის ზალში ხათელი მომავლისათვის მებრძოლთა ხსოვნის პატივსაცემად. ამხანაგებმა ვ. პ. მეკავანაძემ და გ. დ. ჯავახიშვილმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით, ხოლო ამბ. შ. იბრაგიმოვმა — დაღესტნის ასსრ გუნიბის რაიონის მშრომელთა სახელით გვირგვინთ შეამკეს ძმათა საფლავი.

ნაშუადღევს კულტურის სახლში გაიმართა პარტიის დუშეთის რაიკომისა და რაიალმასკომის საზეიმო სხდომა. მოხსენება დუშელთა ცხოვრების ისტორიულ დღეებზე და ამ გარდამქნებზე, რომლებიც ამ მხარეში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, გააკეთა პარტიის დუშეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ამბ. ა. შადურმა.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მეკავანაძემ.

დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყება, თქვა ამბ. მეკავანაძემ, ისტორიაში შევიდა როგორც ხალხის გმირობის, საერთო საქმისადმი სამსახურის, კომუნიზმის იდეებისადმი ერთგულების შესანიშნავი მაგალითი. დუშეთის აჯანყებაში ბრწყინვალედ აისახა ხალხთა ძმობა. ქართველი გლეხების მხარდამხარ იბრძოდნენ მენშევიკების წინააღმდეგ ოსები, აფხაზები და სხვ. მათ აერთიანებდათ საერთო მიზანი — მშრომელთა თავისუფლება.

დუშელ გლეხთა გმირობა სამუდამოდ დარჩება საქართველოს მშრომელთა გულში. ჩვენმა ახალგაზრდობამ უნდა დაიცვას მამა-პაპათა ტრადიციები, რომელიც სიცოცხლეს არ ეშურებდნენ სახალხო საქმისათვის. ჩვენი პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციები, სკოლები, კულტურულ-აღმზრდელობითი დაწესებულებები ახალგაზრდებს უნდა ზრდიდნენ უფროსი თაობის სახელოვანი საბრძოლო და შრომითი საქმეებისადმი, რომლებმაც სისხლითა და ოფლით მოიპოვეს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში.

მძიმე იყო მთიელთა ცხოვრება რევოლუციამდე, თქვა შემდეგ ამბ. მეკავანაძე, ახალი, ნათელი პერსპექტივები გადაეშალა მთიელთა წინაშე საბჭოთა ხელისუფლების წლებში. მთიელები დაადგნენ ეკონომიკისა და კულტურის აყვავების გზას. ამის ნათელი მაგალითია დუშეთის რაიონის დღევანდელი დღე. რაიონის მშრომელებმა შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვეს სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. დღითიდღე ეზრდება საკოლმეურნეო სოფლების დოვლათი, კეთილმოწყობილი ხდება სოფლელთა ყოფა-ცხოვრება, მაღლდება მათი კულტურული დონე, ამოცანა ის არის, რომ კვლავაც ენერგიულად ვებრძოლოთ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, პარტიისა და ხალხის ერთიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის, მშრომელთა იდეური აღზრდისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისადმი ერთგულების სულისკვეთებით.

ეს ამოცანა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღეს, როცა სულ უფრო აქტიური ხდება იმპერიალიზმის ხრიკები სოციალისტური ბანაკის წინააღმდეგ. საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მზურვალენ იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია იმპერიალიზმის ძალების წინააღმდეგ. საბჭოთა ხალხი და სოციალისტური ერები არავის არ მისცემენ ნებას თუნდაც ერთი რგოლი გამოაკლონ დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკს, ხელი შეუშალონ ჩვენს წინსვლას კომუნიზმისაკენ.

დასასრულ ამბ. მეკავანაძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით მიესალმა ზეიმს, რომელიც დღეს დუშეთში გაიმართა, და უსურვა რაიონის მშრომელებს ახალი წარმატებანი შრომაში და ბედნიერება პირად ცხოვრებაში.

დუშეთის რაიონის მშრომელებს გულთბილად მიესალმნენ პარტიის ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგე ნ. დიგურეოვი, სკკპ გუნიბის რაიკომის პირველი მდივანი მ. იბრაგიმოვი, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი პ. თედეევი, გეგეჭკორის რაიალმასკომის თავმჯდომარე ა. სურმავა, ყაზბეგის რაიალმასკომის თავმჯდომარე კ. ფელაძე, პარტიის თიანეთის რაიკომის პირველი მდივანი ნ. მგელიაშვილი.

დუშეთში გვიან ღამემდე გრძელდებოდა ზეიმი. (საქდესი).

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ᲖᲔᲛᲝᲗ — ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲘᲡ 50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘᲗ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲛᲘᲢᲘᲜ�გᲘ. ᲥᲕᲔᲛᲝᲗ — ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲗᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ. ᲤᲝᲢᲝ Ს. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲓᲐ Მ. ᲡᲣᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ.

ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲣᲠᲦᲕᲔᲕᲘ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲔᲠᲗᲡᲣᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲘᲤᲮᲝᲜᲔᲑᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲫᲛᲔ ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲫᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲣᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲘᲬᲝᲜᲔᲑᲔᲜ ᲫᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲜᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲠᲙᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲑᲘᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

25 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ 1968

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 49-Ე ᲬᲚᲘ ● № 199 (14195) ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐᲗ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐ�პᲝᲕᲠᲔᲑᲘ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪ-ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲒᲐᲛᲑᲐᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲐ

№ 1. ᲩᲕᲔᲜ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲠᲗ, ᲒᲐᲖᲠᲯᲐᲡᲛᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲖᲔ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲝᲛᲘᲡ Ნ. ᲛᲣᲠᲖᲐᲔᲕᲛᲐ, ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲒᲐᲚᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐᲒᲕᲬᲧᲝᲗᲡ ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲠᲯᲕᲚᲘ: ᲙᲝᲜᲢᲠᲘᲑᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲠᲯᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲦᲠᲛᲔᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲦᲔᲗᲐ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗ

მიწისქვეშა ჰორიზონტებზე



ჩვენი ქვეყანა უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში აღნიშნავს მეშახტის დღეს — ტრადიციულ ყოველწლიურ დღესასწაულს, რომელიც საბჭოთა სახელმწიფომ დაუწესა საბჭოთა მაღაროელების სახელოვანი არმიის თავდადებული შრომისადმი დიდი პატივისცემის ნიშნად.

ჩვენი ქვეყნის შუხლა თავისი არსებობის მეორე ორმოცდაათწლეულში გვაახლოებს ღირსშესანიშნავ თარიღთან — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების მე-100 წლისთავთან. ჩვენი მაღაროელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ემზადებიან იმისათვის, რომ ლენინის იუბილეს შეხვდნენ ახალი წარმატებებით კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა შესრულებაში.

საბჭოთა მაღაროელებს ასეთი ტრადიცია აქვთ: რიცა შახტა კარგად მუშაობს, გეგმას ასრულებს, მის ანძაზე ვარსკვლავი ინთება. შორს ჩანს მისი შუქი. იგი თითქოს დედამიწის სიღრმიდან ამოდასი — საიდანაც ამოაქვთ „შავს ქვა“, რომელიც ადამიანებს შუქსა და სითბოს აძლევს.

ქვანახშირის უზარმაზარი განძია დაფარული ჩვენი სამშობლოს წიაღში. იგი მსოფლიო მარაგის ნახევარზე მეტს შეადგენს. მეშახტეთა ორთქმის ორმილიონიანი არმია მუშაობს „შავი ოქროს“ მოპოვებაზე. ჩვენი შახტები და კარიერები ყოველდღიურად ორ მილიონამდე ტონა ქვანახშირს იძლევიან. დღეს საბჭოთა კავშირს ქვანახშირის ამოღების მოცულობის მხრივ პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში.

დღევანდელი შახტები ნამდვილი მიწისქვეშა ქარხნებია, სადაც ფართო მასშტაბით ხორციელდება ხაჯარშოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, სადაც ქვანახშირის ამოღება წარმოებს მაღალი წარმადობის კომბაინებისა და რანდების დამარტებით, ხოლო მისი გამოზიდვა ხორციელდება მძლავრი კონვეიერებითა და ელექტრომავლებით

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქვანახშირის ამოღების განვითარება რეპუბლიკის ერთ-ერთი ძირითადი სამეურნეო ამოცანა გახდა. გარდა უძველესი ტყიბულის საბადოსი, სადაც ქვანახშირის ამოღება ამ 120 წლის წინათ დაიწყეს, მძლავრად ამუშავდნენ ტყვარჩელისა და ახალციხის შახტები. საბჭოთა კავშირში ქვანახშირის ამოღების ზრდასთან ერთად წლითიწლობით იზრდება ქვანახშირის ამოღების ტემპები ჩვენს რესპუბლიკაშიც. ამოღების დონე წელს ომამდელ 1940 წელთან შედარებით ოთხჯერ გადიდდა.

ჩვენი რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობამ ქვანახშირის ამოღების მიმდინარე წლის 8 თვის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა მეშახტის დღისათვის.

აღებული ტემპები უზრუნველყოფენ ქვანახშირის ამოღების გეგმის მნიშვნელოვან გადაჭარბებას და მომდინარე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებას.

წელს მეშახტის დღის აღსანიშნავად გაზღვილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის № 1 უბნის კოლექტივს, რომელსაც სათავეში ნამთო ინჟინერი მ. ვერულაშვილი უდგას, მიენიჭა საქართველოს ქვანახშირის კომბინატისა და ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია, ხოლო ბრიგადებს შორის — ამავე შახტის მოწინავე ბრიგადას, რომელსაც ნამთო ტექნიკოსი მ. ცნობილაძე ხელმძღვანელობს.

უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვანახშირის შახტებში გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა ტექნიკური დონის ამაღლებულად. ქვანახშირის ამოღებისა და გამდიდრების ტექნოლოგიის გასაუმჯობესებლად. განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად უკანასკნელ წლებში რიგითი ქვანახშირის ნაცრიანობა შემცირებულია 3,5 პროცენტით, ხოლო კოქსადი ქვანახშირის კონცენტრატისა — 2,5 პროცენტით. ეს ნიშნავს, რომ წელს რკინიგზის ტრანსპორტი გათავისუფლდა 100 ათასი ტონა ფუჭი ქანის გადაზიდვისაგან და ამასთან დაკავშირებით ბრუნვიდან გათავისუფლდა 5 ათასზე მეტი ვაგონი ყოველწლიურად.

წარმოების ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები დიდ მუშაობას ასრულებენ დამუშავების სისტემის გაუმჯობესებისათვის, საქართველოს ქვანახშირის საბადოების რთულ სამთო-გეოლოგიურ პირობებში.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ხაინჟინერო სამსახური, ამაღლდა წარმოების კულტურის დონე. შესამჩნევად შემცირდა ავარიების შემთხვევები სამთო გამომუშავებაში. უკანასკნელ წლებში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი მეშახტეთა შრომის უსაშიშრო და ჯანსაღი პირობების შესაქმნელად. ტყიბულის ქვანახშირის საბადოს ისტორიაში წელს პირველად დაიწყო ნახშირის მომპოვებელი კომბაინების დანერგვა. ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტში წარმატებით მუშაობს კომბაინი უკრ-1კ, ხოლო ამავე ტრესტის ლენინის სახელობის შახტში მიმდინარე წლის სექტემბრიდან დაიწყება კომბაინ ურალ-2 მ-ს გამოცდა.

მიღებული ღონისძიებების შედეგად მუშების შრომის ნაყოფიერების გეგმა მიმდინარე წელს შესრულებულია მნიშვნელოვანი გადაჭარბებით და 1968 წლის დონესთან შედარებით გაიზარდა 12 პროცენტით, ხოლო 1940 წლის ომამდელ დონესთან შედარებით 60 პროცენტზე მეტით. მუშის, სახშალო თვიური ხელფასი 1958 წლის 120 მანეთიდან გაიზარდა 170 მანეთამდე 1968 წელს.

ხელფასთან ერთად დღეს ჩვენ ხიამაოეთ ვიხსენიებთ მათი შრომითი გმირობის მემკვიდრეთა და განმგრძობთა სახელებს—სახელგანთქმულ სოციალისტური შრომის გმირებს—ტყიბულელებს ალექსანდრე ქასრაძესა და პოლიეკტ ბელიშვილს, ტყვარჩელელებს გიორგი გერგაიასა და ვასილ ეიტნაკოვს. მათი ადგილი ქვანახშირისათვის მებრძოლთა პირველ ეშელონში დაიკავეს სოციალისტური შრომის გმირებმა გიორგი დოღონაძემ და მიხეილ ბიგვავამ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ოთარ ბრეგაძემ და იური შამბამ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მამონტი ლანჩავამ, აგრეთვე წარმოების ისეთმა მოწინავეებმა, როგორიც არიან ჯუმბერ გეგელაშვილი, ზურაბ კაპანაძე, იოზი საყვარელიძე, ნეკო ხალვაში, მიხეილ ყვავაძე, ნიკოლოზ ცნობილაძე და ბევრი სხვა, რომლებმაც თავიანთი თავდადებული შრომით მეშახტეთა საყოველთაო სიყვარული მოიპოვეს. საბჭოთა მთავრობა და ჩვენი პარტია სისტემატურად ზრუნავენ მეშახტეებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. გითვალისწინეს რა ამ დარგში მუშაობის განსაკუთრებული პირობები, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება დამატებითი უპირატესობებისა და შეღავათების შესახებ ქვანახშირის მრეწველობისა და შახტმშენებლობის მუშების, ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის. ამ დადგენილებით ფართოვდება იმ ადამიანთა წრე, რომლებიც იღებენ ერთდროულ ანაზღაურებას წელთა ნამსახურობისათვის. ამიერიდან შახტების მუშაკებს უფასოდ მიეწვდიან ქვანახშირს სათბობად. 1 სექტემბრიდან გადიდებული ხელფასი ეძლევა ეუნესდებათა უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების იმ სტუდენტებს, რომლებიც სამთო სამუშაოთა წარმოებასთან დაკავშირებულ სპეციალობებზე სწავლობენ.

ფართოვდება საბინაო მშენებლობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობის მოცულობა. წლითიწლობით იზრდება და მზვენდება მეშახტეთა ქალაქები და დაბები. მივარდნილი სოფლების ადგილას ახლა აშენებულია ახალი ქალაქები, რომლებშიც შექმნილია ყველა პირობა მეშახტეებისა და მათი ოჯახების კულტურული ცხოვრების, სწავლისა და დასვენებისათვის.

თავდადებით შრომობენ ქართველი შახტმშენებლები. ისინი თავიანთ ძალასა და ენერგიას არ იშურებენ იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულონ პარტიისა და მთავრობის დავალება — დროულად ჩაანგრიონ ახალი სიმძლავრენი. მეშახტეებსა და შახტმშენებლებს დიდ დახმარებას უწევენ საქართველოს შახტმშენებლობის ხელმწიფო საპრიმეტო ინსტიტუტის — ჩვენი რესპუბლიკის სამთო საწარმოთა კვლევისა და დაპროექტების მსხვილი ცენტრის — სახელგანთქმული ინჟინერთა კოლექტივი. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ქართველ გეოლოგთა დიდი დამსახურება შაორის ქვანახშირის საბადოს შესწავლისა და მარაგის მატების საქმეში. გამოვლენილი მარაგი შესაძლებლობას იძლევა ამ რაიონში შეიქმნას ქვანახშირის მოპოვების მსხვილი აუზი, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფს ქვანახშირზე როგორც ჩვენი რესპუბლიკის, ისე ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკათა მრეწველობის დაკმაყოფილებას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის, საბადოს დამუშავებისა და აფეთქების ფიზიკის ინსტიტუტის, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის მეცნიერები წარმოების ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებთან თანამეგობრობით დიდად ეხმარებიან ჩვენი რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და განვითარების დიდი ტექნიკური საკითხების გადაწყვეტას.

ჩვენს ქვეყანაში დიდად ფასდება მაღაროელთა შრომა. საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის 1.000-ზე მეტი მუშაკი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებით და მედლებით. მაღაროელებს თავიანთი წარჩინების ნიშნებიც აქვთ — „საბჭოთა მეშახტე“, „მეშახტის დიდება“, „სოციალისტური შეჯიბრების ფრიადოსანი“. მარტო უკანასკნელი ხუთ წლის განმავლობაში ათობით მაღაროელი გახდა „მეშახტის დიდების“ ნიშნის სრული კავალერი.

სკკპ XXIII ყრილობამ საზოგადოებრივი წარმოების მდგომარეობის თანამედროვე სტადიისა და თავისებურებათა ღრმა ანალიზი მოგვცა და შეიმუშავა სახალხო მეურნეობის დაჩქარებული განვითარების ახალი პრინციპები.

ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის წინაშე დიდი ამოცანები დგას.

1970 წელს ქვანახშირის მოპოვება 15 პროცენტით გაიზრდება 1965 წელს მიღწეულ დონესთან შედარებით, გადიდდება კოქსადი კონცენტრატის გამოშვება. დასახულია ქვანახშირის ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. ერთი მუშის შრომის საშუალო თვიური ნაყოფიერება 15 პროცენტით და მეტად გადიდდება. ამ პერიოდში შესამჩნევად შემცირდება ტონა ქვანახშირის თვითღირებულება. მიმდინარე ხუთწლედში სამრეწველო მშენებლობაზე გათვალისწინებულია 61 მილიონი მანეთი. ეს 40 პროცენტით მეტია გასულ ხუთწლედში ქვანახშირის მრეწველობაში ფაქტიურად გაწეულ კაპიტალდაბანდებებზე. 1970-1972 წლებში ამუშავდება ახალი შახტები, რომელთა საერთო წლიური სიმძლავრე მილიონ 200 ათასი ტონა ქვანახშირი იქნება, და ახალი პორიზონტები მოქმედ შახტებში. მომდევნო ხუთწლედის დამდეგს დასახულია ეიწყოს რესპუბლიკაში უდიდესი შახტის შაორი-1-ის მშენებლობა, რომლის წლიური საპროექტო სიმძლავრე 2,4 მილიონი ტონა ქვანახშირია. ახალი ხუთწლედის გეგმის პროექტში გათვალისწინებულია საექსპლოატაციოდ გადაეცეს საცხოვრებელი ფართობი, რომელიც ორჯერ და მეტად გადააჭარბებს გასული ხუთწლედის სახლთა მშენებლობის მოცულობას.

დიდი თვისებრივი ძვრები დასახულია რესპუბლიკის ტორფის მრეწველობაში. მაღალბარისხოვანი ტორფმინერალური სასუქების გამოშვება ხუთწლედის ბოლოს ორჯერ გადიდდება მიმდინარე წლის მიღწეულ დონესთან შედარებით. ჩვენი რესპუბლიკის ციტრუსოვანი და ჩაის პლანტაციები საჭირო რაოდენობით მიიღებენ მაღალბარისხოვან ტორფმინერალურ სასუქებს.

1969 წლიდან განხორციელდება ქვანახშირის შახტების გადაყვანა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ მეთოდზე. წარმოების ორგანიზაციის ამ პრინციპებისა და ღონისძიებების დანერგვა განხორციელდება უაღრესად გულმოდგინედ მომზადებისა და წარმატების რწმენის საფუძველზე. ეკონომიური და მატერიალური სტიმულირების გაძლიერების კურსი მახლობელი და გასაგებია ჩვენი მეშახტეებისათვის. მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ მორალური სტიმულები ამჟამად უკანა პლანზე დგება. საჭიროა ბეჯითად ვცდილობდეთ მივაღწიოთ იმას, რომ მორალური, ისევე როგორც მატერიალური წახალისება სულ უფრო ძლიერ ასტიმულირებდეს, თავის მარჯანიზებელ როლს. შეჯიბრების საჭიროობას, ხაუკეთესო კოლექტივების, ბრიგადებისა და ცალკეული მუშაკების გამოცდილების პროპაგანდას — ალმზრდელობითი მუშაობის ამ და ბევრ სხვა ფორმას მუდამ უნდა იყენებდნენ სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციები.

ჩვენ მონდობილი გვაქვს დიდი საქმე—პარტიის, სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე მახუსისმგებელი ვართ ჩვენი რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის წარმატებით განვითარებისათვის, მისი მაღალტექნიკური დონისათვის, მაღალხარისხოვანი ქვანახშირით სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის. ამ საპატიო მოვალეობას პირნათლად ასრულებენ ჩვენი მამაცი მეშახტეები.

დ. ჩიკვაიძე.
საქართველოს ქვანახშირის კომბინატის უფროსი.

• • •

შრომითი წარმატებებით შეეგებნენ მეშახტის დღეს ტყვარჩელის ქვანახშირის აუზის მაღაროელები. შვიდ თვეში მათ გეგმის გადაჭარბებით მოიპოვეს 10 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი. ტყვარჩელელი მეშახტეები წარმატებით ეწევიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ შრომის ვახტს, ყოველდღიურად იღებენ ასობით ტონა ზეგეგმით ქვანახშირს.

ხუთათუნ: № 8 შახტის მოწინავე მაღაროელები შახტაში ჩასულნი წინ. მარცხნიდან-მარჯვნივ: გეორგაბგამყვანი ბრეგაძეური ა. მჭედლიძე, გეორგაბგამყვანი ა. ბაჯი-ოლლი, გეორგაბგამყვანთა ბრიგადირი (ვ. ლეუნოვი, გეორგაბგამყვანი ი. მარტინეული, სამთო ოსტატი ბ. ჩოგოვაძე და გეორგაბგამყვანი ბ. გულიანი.

ფოტო ი. ბოგოსლოვისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ვენახები 730 ჰექტარზეა გადაჭიმული. აქედან 230 ჰექტარი ახალგაზრდა ვაზს უჭირავს, დანარჩენი მსხმოიარეა. შარშან ამინდის არახელსაყრელი პირობები იყო. მიუხედავად ამისა, მეურნეობის კოლექტივმა შეძლო ჰექტარზე 30 ცენტნერი ყურძნის მოკრეფა.

წელს ყვარელმა მევენახეებმა დროულად შეასრულეს ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო, და მოსავალს კარგი პირი უჩანს.

მეურნეობის მუშებმა გადაწყვიტეს ჰექტარზე 50-60 ცენტნერი ყურძენი მოკრიფონ.

სურათზე: № 6 ბრიგადის ხელმძღვანელი გიორგი ნადირაშვილი და განყოფილების გამგე შალვა საჩინაძე ვენახში.

ფოტო მ. თელიაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ბორჯომელები

რეპორტაჟი

